დამტკიცებულია
ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის
რექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის #03/54 ბრძანებით

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი

2025

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში (შემდგომში - სკოლა-გიმნაზია) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“ შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ შესახებ საქართველოს კანონის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის, სკოლა-გიმნაზიის წესდებისა და სკოლა- გიმნაზიის შინაგანაწესის საფუძველზე.

2. წინამდებარე წესის მიზანია მონაცემების დამუშავებისას და გაცემისას უზრუნველყოს სკოლა-გიმნაზიის დირექციის, მასწავლებლების, თანამშრომლების, მოსწავლეების, მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის, ასევე, იმ მესამე პირების, რომლებიც სკოლა-გიმნაზიის სახელით ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებას, უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა; ჩამოაყალიბოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგია, მონაცემთა დაცვის ძირითადი პრინციპები და მექანიზმები.

4. სკოლა-გიმნაზიაში პერსონალური მონაცემების შენახვა, დამუშავება და დაცვა ხორციელდება წინამდებარე წესის შესაბამისად და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ა. **პერსონალური მონაცემი** (შემდგომში მონაცემი) - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს.

ბ. **განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი** - მონაცემები დაკავშირებული პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში გაწევრიანებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან, აგრეთვე ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.

გ. **მონაცემთა სუბიექტი** - ნებისმიერი ფიზიკური პირი (მოსწავლე, მასწავლებელი, თანამშრომელი, მოწვეული პერსონალი და სხვა, ვისი მონაცემებიც მუშავდება სკოლა-გიმნაზიის მიერ).

დ. **მონაცემთა დამმუშავებელი** - ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზია, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს და მონაცემების დამუშავებას ახდენს უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

ე. **უფლებამოსილი პირი** - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ამუშავებს მონაცემებს სკოლა-გიმნაზიისთვის ან მისი სახელით. მონაცემებზე წვდომა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, კონკრეტულ გარემოებათა არსებობისას, შესაძლებელია ჰქონდეს სკოლა-გიმნაზიის წესდებით განსაზღვრულ პირებს.

ვ. **მონაცემთა მიმღები** - არის ნებისმიერი დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, კერძო ან საჯარო სექტორის თანამშრომელი, რომელსაც სკოლა-გიმნაზია გადასცემს მონაცემებს, გარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისა.

ზ. **მესამე პირი** - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, საჯარო დაწესებულება, გარდა მონაცემთა სუბიექტისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირისა.

თ. **ინციდენტი** - მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა, რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას,

განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას.
ი. **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი** - დამუშავებისთვის პასუხიმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ განსაზღვრული/დანიშნული პირი, რომელიც ასრულებს წინამდებარე წესით განსაზღვრულ ფუნქციებს.

მუხლი 3. პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები
1. სკოლა-გიმნაზია პერსონალურ მონაცემების დამუშავებისას, უზრუნველყოფს შემდეგი პრინციპების დაცვას:
ა. სამართლიანობა;
ბ. კანონიერება;
გ. კონკრეტული კანონიერი მიზნის არსებობის აუცილებლობა,
დ. ადეკვატურობა,
ე. პროპორციულობა,
ვ. ნამდვილობა,
ზ. სიზუსტე,
თ. მონაცემების შენახვის ვადა,
ი. მონაცემთა დაცვა;
2. სკოლა-გიმნაზია პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეულახავად.
3. სკოლა-გიმნაზია პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. სკოლა-გიმნაზიაში დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზნებთან შეუთავსებელი მიზნით. გამონაკლისის სახით, თუ დადგა მონაცემთა შეგროვების მიზნისგან განსხვავებული მიზნით მონაცემთა დამუშავების აუცილებლობა, საკითხის გადაწყვეტისას, სკოლა-გიმნაზია ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს: არსებობს თუ არა მონაცემთა შეგროვების/მოპოვების თავდაპირველ მიზანსა და შემდგომ მიზანს შორის კავშირი; სკოლა-გიმნაზიასა და მონაცემთა სუბიექტს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათი; აქვს თუ არა მონაცემთა სუბიექტს მის შესახებ მონაცემთა შემდგომი დამუშავების გონივრული მოლოდინი; ხორციელდება თუ არა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება; მონაცემთა სუბიექტისთვის შესაძლო შედეგები, რომლებიც შეიძლება თან ახლდეს მონაცემთა შემდგომ დამუშავებას; მონაცემთა უსაფრთხოების ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების არსებობა.
4. სკოლა-გიმნაზიაში პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემების კატეგორია და შინაარსი, ისევე როგორც მოცულობა არის იმ მიზნით თანაზომიერი, რომელის მისაღწევადაც მუშავდება ისინი.
5. სკოლა-გიმნაზიას მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემები არის ნამდვილი და ზუსტი და საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, სკოლა-გიმნაზია ახდენს არაზუსტი მონაცემების გასწორებას, წაშლას ან განადგურებას გონივრულ ვადაში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე.
6. სკოლა-გიმნაზიაში პერსონალური მონაცემები ინახება მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი იშლება, ნადგურდება ან ინახება დეპერსონალიზებული ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაცემთა დამუშავება განსაზღვრულია კანონით ან/და კანონის შესაბამისად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით და მონაცემთა შენახვა აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში აღმატებული ინტერესების დასაცავად. ამასთან, საჯარო ინტერესების შესაბამისად, არქივირების, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან

სტატისტიკური მიზნებისთვის მონაცემთა უფრო ხანგრძლივად შენახვის შემთხვევაში, სკოლა-გიმნაზია იღებს უსაფრთხოების ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს მონაცემთა სუბიექტის უფლებების დასაცავად.

7. მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლა-გიმნაზია იღებს ისეთ ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან.

8. სკოლა-გიმნაზია იღებს პასუხისმგებლობას ამ მუხლით განსაზღვრული პრინციპების დაცვისთვის და ახდენს ამ პრინციპების, პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებებისა და მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვის დემონსტრირებას.

მუხლი 4. მონაცემების დამუშავებისა და გამოყენების მიზნები

1. პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს აუცილებელი პირობაა მიზნობრიობა. უნდა არსებობდეს წინასწარ განსაზღვრული, მკაფიო და კონკრეტული მიზანი, თუ რატომ ხორციელდება ამა თუ იმ მონაცემის გამოყენება;

2. სკოლა-გიმნაზიაში დასაქმებულებისა და მოსწავლეების დამუშავებული მონაცემები გამოიყენება სხვადასხვა მიზნით, კერძოდ:

ა. თანამშრომლებისა და მოსწავლეების პირადი საქმეების წარმოება;

ბ. მოსწავლეთა მშობლებთან და თანამშრომლებთან, ასევე მესამე პირებთან ხელშეკრულებების გასაფორმებლად;

გ. ელექტრონული და მატერიალური ჟურნალების წარმოების მიზნით;

დ. მონაცემთა ბაზების სრულყოფისთვის;

ე. დისტანციური გაკვეთილების ჩატარების უზრუნველსაყოფად;

ვ. დოკუმენტბრუნვის ორგანიზებისა და კონტროლისთვის;

ზ. სხვადასხვა მარეგულირებელი აქტების შესამუშავებლად;

თ. ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსების ორგანიზებისთვის, პერსონალისა და მოსწავლეთა შეფასებისთვის;

ი. შესაბამისი კორესპონდენციის/შეტყობინების გაგზავნის და ჩაბარების მიზნებით;

კ. სკოლა-გიმნაზიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების ან/და კონტრაჰენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნებით;

ლ. სკოლა-გიმნაზიის სამართლებრივი უფლებების და ლეგიტიმური ინტერესების დაცვის, მათ შორის, სასამართლოში საქმისწარმოების მიზნებით;

მ. ანალიტიკის და ანგარიშგების, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში მარეგულირებლის/საზედამხედველო ორგანოსათვის მონაცემების ხელმისაწვდომობის მიზნებით;

ნ. ადმინისტრაციული ფუნქციების, მათ შორის, საქმისწარმოების, საფინანსო, საბუღალტრო, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული და სამართლებრივი ურთიერთობების განხორციელების, ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის და შრომითი ურთიერთობების განხორციელების, საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფის, მოქალაქეებთან კომუნიკაციის და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნებით;

ო. დისციპლინური საქმის წარმოების მიზნით;

პ. სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და პრევენციისთვის, სკოლა-გიმნაზიის მხრიდან გაწეული მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად;

ჟ. სხვა ლეგიტიმური მიზნებით, რაც თავსებადია მონაცემების დამუშავების თავდაპირველ მიზანთან.

მუხლი 5. მონაცემთა სუბიექტების წრე

1. სკოლა-გიმნაზიაში მუშავდება შემდეგი პირების შესახებ მონაცემები:
ა. სკოლა გიმნაზიის თანამშრომლები, ყოფილი თანამშრომლები, სკოლა-გიმნაზიაში დასაქმების მაძიებლები, მათი წარმომადგენლები, დამსაქმებლების წარმომადგენლები;
ბ. სკოლა-გიმნაზიაში განცხადების წარმდგენი პირი;
გ. მოსწავლე, მისი მშობელი ან/და კანონიერი წარმომადგენელი;
დ. სკოლა-გიმნაზიისათვის სხვადასხვა სერვისის მიმწოდებელი პირები;
ე. პირები, ვინც სკოლა-გიმნაზიასთან ახდენენ კომუნიკაციას სხვადასხვა არხებით, მათ შორის, სკოლა-გიმნაზიაში ვიზიტისას, დისტანციურად - ვებგვერდის, ელექტრონული ფოსტის საშუალებით;
ვ. სხვა ფიზიკური პირები, რომლებიც რაიმე ფორმით დაკავშირებული არიან სკოლა-გიმნაზიასთან ან ვისი მონაცემების დამუშავებაც აუცილებელია სკოლა-გიმნაზიის მიერ საქმიანობის განხორციელების პროცესში.

მუხლი 6. დამუშავებული პერსონალური მონაცემები
1. სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებას კანონის შესაბამისად. პერსონალურ მონაცემები მუშავდება, როგორც ავტომატური, ისე ნახევრად ავტომატური, არაავტომატური საშუალებებისა და ფაილური სისტემის გამოყენებით.
2. სკოლა-გიმნაზიაში მუშავდება ისეთი პერსონალური მონაცემები, როგორიცაა:
ა. თანამშრომელთა შესახებ - სახელი, გვარი, ფოტოსურათი, დაბადების თარიღი, ასაკი, სქესი, მისამართი, პირადი ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია და ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ვადა, მართვის მოწმობის ასლი, ავტობიოგრაფია, რეზიუმე (CV), განათლების შესახებ ინფორმაცია, უცხო ენის ცოდნის შესახებ ინფორმაცია, დიპლომის ასლი ან განათლების დამადასტურებელი მოწმობა, კომპიუტერული პროგრამების ცოდნის შესახებ ინფორმაცია, სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაცია, შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის დრო, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო ანგარიშის ნომერი, სამხედრო ვალდებულების შესახებ ინფორმაცია, დაკავებული პოზიცია (თანამდებობა), ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია, ინფორმაცია ნასამართლობის შესახებ, ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (აცრებზე ინფორმაცია, სავალდებულო კვლევები სხვადასხვა ინფექციასთან დაკავშირებით და ა.შ), ვიდეო ჩანაწერი.
ბ. მოსწავლის შესახებ - სახელი, გვარი, პირადი ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია, ნომერი და გაცემის ვადა, დაბადების მოწმობის სერია, ნომერი და გაცემის ვადა, ფოტოსურათი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, დაბადების თარიღი, სქესი, სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების შესახებ ინფორმაცია, მოქალაქეობა, სამხედრო ვალდებულების შესახებ ინფორმაცია, მოსწავლის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის/აქტები (ჩარიცხვის შესახებ ბრძანება, სტატუსის შეჩერება, აღდგენა, ამორიცხვის შესახებ ბრძანება), შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის დრო, საჭიროების შემთხვევაში, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია და ვიდეო ჩანაწერი.
გ. ვიზიტორის შესახებ - სახელი, გვარი, პირადი ნომერი, შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის დრო, ვიზიტის მიზეზი და ვიდეო ჩანაწერი.
დ. დოკუმენტურ მონაცემებს (საქმისწარმოების, საორგანიზაციო, ფინანსური და ადმინისტრირების, ანგარიშვალდებულების სხვადასხვა დოკუმენტებს თუ მათ ასლებში დაცული ინფორმაცია შეიცავს პერსონალურ მონაცემს, მაგალითად, პასპორტი, ბინადრობის მოწმობა, გარდაცვალების მოწმობა, შესაძლებლობის შეზღუდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სადაზღვევო ხელშეკრულება, საბუღალტრო, საგადასახადო და შესყიდვების დოკუმენტაცია, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და

სხვ., ასევე, აღნიშნული დოკუმენტების მონაცემები: დოკუმენტის ნომერი, გამცემი ორგანოს დასახელება, მოწმობის/ნებართვის გაცემის თარიღი, მოქმედების ვადა);
ე. ვიზუალური მონაცემები (ვიდეო მონიტორინგის სისტემის ჩანაწერები);
ვ. ტექნიკური ინფორმაცია (სკოლა-გიმნაზიის სერვისებით სარგებლობისას გამოყენებული მოწყობილობის შესახებ და სხვა ტექნიკური დეტალების შესახებ, მაგალითად, ინტერნეტ პროტოკოლის (IP) მისამართი, ოპერაციულ სისტემა და სხვ. ინფორმაცია).
3. სკოლა-გიმნაზია ამუშავებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, მათ შორის: ინფორმაცია მოსწავლის/თანამშრომლების ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა ნასამართლეობის შესახებ და ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში), მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის მიმართვის და მისი თანხმობის საფუძველზე ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. სუბიექტის თანხმობის ფორმა განსაზღვრულია განცხადების შაბლონში.
4. სკოლა-გიმნაზია ამუშავებს არასრულწლოვან პირთა მონაცემებს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე.
5. სკოლა-გიმნაზია უფლებამოსილია დაამუშავოს პერსონალური მონაცემები დისციპლინური ღონისძიებების გატარების დროს (არასრულწლოვნის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის წინასწარი თანხმობით).
6. მონაცემები მუშავდება სხვადასხვა მოქმედების განხორციელებით, კერძოდ, მოსწავლის და დასაქმებულის პირადი საქმის წარმოება, ელექტრონული და მატერიალური ჟურნალის აღრიცხვა, ერთიან ელექტრონულ სისტემაში მონაცემების აღრიცხვა/მოძიება, სკოლის ტერიტორიაზე ვიდეო-ფოტო გადაღება და ა. შ.
7. სკოლა-გიმნაზია ამუშავებს და ბრძანების სახით გამოსცემს ისეთ პერსონალურ მონაცემებს, რომელიც დაკავშირებულია პირისთვის მოსწავლის სტატუსის მინიჭებასთან, შეწყვეტასთან, შეჩერებასთან, აღდგენასთან, მობილობასთან, ჩარიცხვასთან და ა. შ.
8. სკოლა-გიმნაზია მუდმივად უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგს.
9. სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს დასაქმებულების, მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ხელშეკრულებებისა და აღნიშნული დოკუმენტის მეშვეობით.

მუხლი 7. პერსონალური მონაცემების დაცვა

1. სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს ელექტრონული ინფორმაციის დამმუშავებელი მოწყობილობის დაცვას არაავტორიზებული წვდომისგან და განზრახ დაზიანებისაგან. ამასთანავე იღებს ზომებს, რათა მონაცემები დაცული იყოს უკანონო გამჟღავნებისაგან, შეცვლისგან ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისგან.
2. სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზების იმგვარ ადმინისტრირებას, რომ ინფორმაცია ყველა მოსწავლეს, მის მშობელს და პერსონალს მიეწოდოს ინდივიდუალურად.
3. ნებისმიერი პირი, რომელიც აღმოაჩენს დარღვევებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან მიმართებით, ვალდებულია ამის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს სკოლა-გიმნაზიის დირექციას.
4. სკოლა ვალდებულია დაიცვას პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა და იმოქმედოს მონაცემთა სუბიექტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.
5. დაუშვებელია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა თუ ქცევითი პრობლემების საჯარო განხილვა/გავრცელება, მოსწავლის შესახებ ინფორმაციის (მიღწევების, სერტიფიკატების, ფოტოების, ნამუშევრების და ა. შ.) გასაჯაროებისას წინასწარ უნდა იქნეს მოპოვებული მოსწავლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

6. სკოლა ვალდებულია შეინახოს პერსონალური მონაცემები კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო ასეთი წესის არარსებობის შემთხვევაში მხოლოდ იმ ვადით, რაც საჭიროა დამუშავების კანონიერი მიზნის მისაღწევად.

მუხლი 8. მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

1. მონაცემთა დამუშავება დასაშვებია თუ:

ა) მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა თანხმობა მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე;

ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დასადებად;

გ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;

დ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

ე) კანონის თანახმად, მონაცემი საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა;

ვ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, მათ შორის, ეპიდემიის მონიტორინგის ან/და მისი გავრცელების აღკვეთის, ჰუმანიტარული კრიზისების, ბუნებრივი და ადამიანის მოქმედებით გამოწვეული კატასტროფების სამართავად;

ზ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;

თ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მართლწესრიგის დაცვის, მათ შორის, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის, მიზნებისთვის;

ი) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის (მათ შორის, არასრულწლოვანის) უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;

კ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).

2. იმისთვის, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავებას საფუძვლად დაედოს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა, აუცილებელია ეს თანხმობა:

ა) იყოს ნებაყოფლობითი;

ბ) გამოხატული იყოს წინასწარ მონაცემთა დამუშავებამდე;

გ) გამოხატული იყოს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების შემდეგ;

დ) გამოხატული იყოს კონკრეტული მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზანი მონაცემთა დამუშავებაზე;

ე) გამოხატვის საშუალება იყოს ნათელი, რომლითაც დგინდება მონაცემთა სუბიექტის ნება.

მუხლი 9. პერსონალური მონაცემების მოპოვება მესამე პირებისგან

1. სკოლა-გიმნაზიამ მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები შესაძლოა მესამე პირებისგან მოიპოვოს შემდეგი მიზნებისათვის: მონაცემთა სუბიექტის სრულყოფილი მომსახურებისთვის, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში,

საქართველოს კანონმდებლობით სკოლა-გიმნაზიისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით, ასევე, მესამე პირებისგან, სახელმწიფო სექტორში მოქმედ ორგანიზაციებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე სკოლა-გიმნაზიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნებისათვის.
2. მესამე პირს წარმოადგენს ფიზიკური და/ან იურიდიული პირი, სახელმწიფო სექტორში მოქმედი ორგანიზაციები.

მუხლი 10. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება
1. სკოლა-გიმნაზიაში აკრძალულია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს სუბიექტის წერილობითი თანხმობა;
2. ნასამართლობასა და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებების და ურთიერთობების ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად;
3. მონაცემები მუშავდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების რეალიზების მიზნით.

მუხლი 11. მოსწავლის მონაცემების დაცვა ელექტრონული ჟურნალის წარმოებისას

1. ელექტრონული ჟურნალში ელექტრონულად აღირიცხება მოსწავლეთა დასწრებები და შეფასებები(ჟურნალის წარმოება ხორციელდება ელექტრონული პლატფორმა "Edupage"–ით).
2. ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულია მოსწავლეთა მონაცემები, კერძოდ: სახელი, გვარი, შეფასება, დასწრება, საგნის ჯგუფები და განრიგი.

3. სწავლების პროცესში, ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, მოადგილეებს, კლასის ხელმძღვანელს, საგნის მასწავლებლებს.
4. ელექტრონული ჟურნალის წარმოების დროს დაუშვებელია მასწავლებლების მიერ შეფასებების გადატანა სხვადასხვა ფაილებში/წიგნაკებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების უკანონოდ გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.
5. მასწავლებელი ვალდებულია შეფასებები/დასწრებები ელექტრონულ ჟურნალში შეავსოს დაუყოვნებლივ სხვა ალტერნატიული ჩანაწერების გაკეთების გარეშე.
6. მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული მიზნის არსებობისას უნდა მოხდეს ელექტრონულ ჟურნალში დაცული მონაცემების შემოწმება იმ პირების მიერ, ვისაც ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენების მეშვეობით წვდომა აქვთ აღნიშნულ პროგრამაში.

მუხლი 12. მონაცემების დაცვა ვიდეო მონიტორინგის განხორციელებისას

1. სკოლა-გიმნაზიის შენობაში ხორციელდება შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო მონიტორინგი, პირთა უსაფრთხოების, სკოლა-გიმნაზიის საკუთრების დაცვის. არასრულწლოვანთა დაცვის, საიდუმლო ინფორმაციის დაცვისა და გამოცდის/ტესტირების მიზნებისათვის.
2. ვიდეო მონიტორინგის სისტემაზე წვდომის უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ის სამსახურიდან წასვლის ან/და მივლინების ან/და შვებულების დროს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილება გააჩნია უფლებამონაცვლე პირ(ებ)ს, რომლ(ებ)ზეც გადადის იგივე უფლება-მოვალეობები.
3. სკოლა-გიმნაზია უფლებამოსილია, ვიდეოჩანაწერი გამოიყენოს მტკიცებულებად პირველ პუნქტში გათვალისწინებული მიზნებისთვის. ვიდეოჩანაწერში მოხვედრილი სხვა პირების პერსონალური მონაცემები უნდა დაიშიფროს ან უნდა არსებობდეს მათი თანხმობა.

4. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და დანაშაულის გამოძიების მიზნით, მოთხოვნის საფუძველზე, სკოლა-გიმნაზია ვიდეოჩანაწერს გადასცეს შესაბამის უწყებებს, მხოლოდ მოსამართლის განჩინების, ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში პროკურორის მოტივირებული დადგენილების საფუძველზე.
5. სკოლა-გიმნაზიის სკოლის გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეო მონიტორინგის სისტემა უზრუნველყოფს სკოლა-გიმნაზიის გარე პერიმეტრის (მათ შორის სპორტული მოედანი, ბაღი, სკვერი, და სხვა) სრულად ვიდეო მონიტორინგსა და იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობას.
6. სკოლა-გიმნაზიის შიდა პერიმეტრზე განთავსებული ვიდეო თვალთვალის სისტემა უზრუნველყოფს სკოლა-გიმნაზიის ყველა დერეფნის, შესასვლელისა (ფოიე) და კიბის უჯრედის ვიდეო დაკვირვებისა და იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობას.
7. დაუშვებელია ვიდეო მონიტორინგის განხორციელება სკოლა-გიმნაზიის საპირფარეშოში, გამოსაცვლელ ოთახებში, საკლასო ოთახებსა და სამასწავლებლოში.
8. სკოლა-გიმნაზიის გარე და შიდა პერიმეტრზე განხორციელებული ვიდეო მონიტორინგის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსებულია სკოლა-გიმნაზიის შენობის შესასვლელსა და ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებში;
9. ვიდეო მონიტორინგის შედეგად მიღებული ჩანაწერები 30 დღის განმავლობაში ინახება სათანადოდ დაცულ ადგილზე და ჩანაწერის მიღება დასაბუთებული მოთხოვნით შეუძლია სკოლა-გიმნაზიის დირექციას, დისციპლინურ კომიტეტს, ასევე, სამართალდამცავ ორგანოებს – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, საჭიროების შემთხვევაში შეუძლია ადგილზე გაეცნოს სხვისი პერსონალური მონაცემების დაცვით.
10. აუდიო მონიტორინგის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ სკოლა-გიმნაზიის მიერ დისტანციური მომსახურების განხორციელებისას ან მომსახურების გაუმჯობესების მიზნებიდან გამომდინარე, სუბიექტის წინასწარი ინფორმირების შემთხვევაში.

მუხლი 14. მონაცემების დაცვა ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენებისას
1. ეფექტური კომუნიკაციის მიზნით, სკოლა-გიმნაზია ამუშავებს ისეთ მონაცემებს, როგორიცაა დასაქმებული პირების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ელექტრონულ ფოსტები და ტელეფონის ნომრები;
2. ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის შესახებ მონაცემების გამოყენება ხდება, მხოლოდ სკოლა-გიმნაზიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდებისთვის (დასაქმებულისთვის - სამუშაოსთან დაკავშირებული ინფორმაციის, მოსწავლისა და მშობლისთვის სასწავლო მიზნებისთვის არსებული ინფორმაციის მიწოდება).

მუხლი 15. მონაცემების დაცვა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას.
1. ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი მართვის მიზნით, სკოლა-გიმნაზია ახორციელებს მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოებას.
2. პირადი საქმე ინახება სკოლა-გიმნაზიაში დაცულ ადგილას. პირადი საქმის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლა გიმნაზიის საქმეთა მმართველი.
3. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს, საქმეთა მმართველს. აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეებს და შესაბამისი კლასის ხელმძღვანელს (მხოლოდ მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა პირად საქმეებზე). პირად საქმეებში მონაცემების შემოწმება/გამოყენება ხდება მხოლოდ სამსახურეობრივი მიზნით, სკოლა-გიმნაზიის საქმიანობიდან გამომდინარე, უფლებამოსილი პირის მიერ, მაგალითად:

მოსწავლის მიღების, კლასიდან კლასში გადაყვანის, მობილობის დროს ან მასწავლებლის მიღების/გათავისუფლების დროს.
4. უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა კანონიერი დამუშავების უზრუნველყოფის მიზნით, ხორციელდება მისი საქმიანობის პერიოდული მონიტორინგი;
5. მოსწავლეთა პირადი საქმის წარმოებისას მუშავდება მოსწავლეთა შემდეგი პერსონალური მონაცემი:
ა. მოსწავლის სახელი, გვარი, ფოტო, პირადი ნომერი, მოქალაქეობა, სქესი, დაბადების თარიღი და ადგილი, საცხოვრებელი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, ინფორმაცია აკადემიური მოსწრების და განათლების შესახებ, ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ინფორმაცია განსაკუთრებული საჭიროების მქონე სტატუსის შესახებ;
ბ. მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მოქალაქეობა, სქესი, დაბადების თარიღი და ადგილი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, საცხოვრებელი მისამართი.
6. მოსწავლის პირადი საქმე დაცულ ადგილას ინახება 75 წლის განმავლობაში.
7. მოსწავლის პირადი საქმის დედნის გატანა დასაშვებია მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსწავლის მობილობისას, მიმღები სკოლიდან წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის შემთხვევაში. დაუშვებელია მოსწავლის პირადი საქმის დედნის მოსწავლისათვის, მოსწავლის მშობლის, მეურვის, მზრუნველის, კანონიერი წარმომადგენლისთვის გადაცემა.
8. თანამშრომლის პირადი საქმის წარმოებისას მუშავდება მასწავლებელთა/თანამშრომელთა შემდეგი პერსონალური მონაცემები: დასაქმებულის სახელი, გვარი, ფოტო, პირადი ნომერი, მოქალაქეობა, სქესი, დაბადების თარიღი და ადგილი, საცხოვრებელი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, ინფორმაცია განათლებისა და სამუშაო ადგილის/ადგილების შესახებ, ინფორმაცია ნასამართლეობის შესახებ, ინფორმაცია მასწავლებლის სტატუსის შესახებ, ინფორმაცია მასწავლებლის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებზე.

მუხლი 16. მონაცემების დაცვა ელექტრონული ბაზის წარმოებისას
1. ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი მართვის მიზნით, სკოლა-გიმნაზიაში ახორციელებს ელექტრონული ბაზის ადმინისტრირებას ელექტრონული სისტემის მეშვეობით;
2. ელექტრონულ ბაზაში მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ: მოსწავლე, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს, მოადგილეებს, კლასის ხელმძღვანელს და საქმეთა მმართველს. ბაზაში არსებული მონაცემების დამუშავება, შემოწმება/გამოყენება ხდება მხოლოდ სამსახურეობრივი მიზნით, სკოლის საქმიანობიდან გამომდინარე.
3. უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა კანონიერი დამუშავების უზრუნველყოფის მიზნით, ხორციელდება მისი საქმიანობის პერიოდული მონიტორინგი.
4. მონაცემთა სუბიექტის უფლების დაცვასთან და მისი მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე უფლებამოსილი პირისთვის მიმართვა შესაძლებელია განხორციელდეს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორის მიერ საკუთარი ინიციატივით ან მონაცემთა სუბიექტის განცხადების საფუძველზე.
5. ელექტრონული ბაზის წარმოებისას მუშავდება მოსწავლეთა შემდეგი პერსონალური მონაცემი:
ა. მოსწავლის სახელი, გვარი, ფოტო, პირადი ნომერი, მოქალაქეობა, სქესი, დაბადების თარიღი და ადგილი, საცხოვრებელი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, ინფორმაცია აკადემიური მოსწრების და განათლების შესახებ, ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ინფორმაცია განსაკუთრებული საჭიროების მქონე სტატუსის შესახებ;

ბ. მშობლის კანონიერი წარმომადგენლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მოქალაქეობა, სქესი, დაბადების თარიღი და ადგილი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, საცხოვრებელი მისამართი.

გ. ელექტრონული ბაზის წარმოებისას მუშავდება მასწავლებელთა/თანამშრომელთა შემდეგი პერსონალური მონაცემები: დასაქმებულის სახელი, გვარი, ფოტო, პირადი ნომერი, მოქალაქეობა, სქესი, დაბადების თარიღი და ადგილი, საცხოვრებელი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, ინფორმაცია განათლებისა და სამუშაო ადგილის/ადგილების შესახებ, ინფორმაცია ნასამართლეობის შესახებ, ინფორმაცია მასწავლებლის სტატუსის შესახებ, ინფორმაცია მასწავლებლის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებზე და მათ შეფასებებზე, მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა, შრომითი ანაზღაურების შესახებ.

მუხლი 17. არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გაცემის წესი და პირობები

1. არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავება მისი თანხმობის საფუძველზე დასაშვებია, თუ მან 16 წლის ასაკს მიაღწია, ხოლო 16 წლამდე არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავება – მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, მათ შორის, როდესაც მონაცემთა დამუშავებისთვის აუცილებელია 16 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვანისა და მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

2. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია მიიღოს გონივრული და ადეკვატური ზომა 16 წლამდე არასრულწლოვანის მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის არსებობის დასადასტურებლად.

3. არასრულწლოვანის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავებისას სკოლა-გიმნაზია ვალდებულია გაითვალისწინოს და დაიცვას არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები.

5. არასრულწლოვანის, მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ მონაცემთა დამუშავება საფრთხეს უქმნის ან ზიანს აყენებს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებს.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული დებულებები არ ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ გარიგების ნამდვილობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე.

მუხლი 18. გარდაცვლილი პირის შესახებ მონაცემთა დაცვა

1.გარდაცვლილი პირის მონაცემების დამუშავება, რომელიც დაცულია სკოლა-გიმნაზიაში, დასაშვებია:

ა) გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ მონაცემთა დამუშავებაზე შეზღუდვის შესახებ არსებობს მონაცემთა სუბიექტის მშობლის, შვილის, შვილიშვილის ან მეუღლის მიერ წერილობითი დოკუმენტი.

ბ) როდესაც გარდაცვლილმა სუბიექტმა გარდაცვალებამდე წერილობით აკრძალა მისი გარდაცვალების შემდეგ, მის შესახებ მონაცემთა დამუშავება.

მუხლი 19. სკოლა-გიმნაზიაში დასაქმებული პირების უფლება-მოვალეობანი

1. სკოლა-გიმნაზიაში დასაქმებული პირები ვალდებულნი არიან დაიცვან წინამდებარე წესი.

2. სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს თანამშრომლის ინფორმირებას, წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას როგორი სახის პერსონალურ მონაცემებს დაამუშავებს მის შესახებ სკოლა-გიმნაზია.
3. თანამშრომლებს ეკრძალებათ პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტებისა და ფაილების უყურადღებოდ დატოვება.
4. სკოლა-გიმნაზიის თანამშრომელი ვალდებულია არ გაამჟღავნოს და არ გადასცეს სხვისი პერსონალური მონაცემები სხვა პირებს. პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულება გააჩნიათ იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი აღარ იქნებიან დასაქმებულნი სკოლა-გიმნაზიაში.
5. იმ შემთხვევაში, თუ პირები აღარ არიან დასაქმებულნი სკოლა-გიმნაზიაში და დაარღვევენ წინამდებარე წესს, პასუხისმგებლობა დადგება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6. პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ დადგენილი წესების დარღვევა არის სკოლა-გიმნაზიის პერსონალის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი.

მუხლი 20. მონაცემთა სუბიექტის უფლებები და ვალდებულებები
1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოსთხოვოს სკოლა-გიმნაზიას ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. სკოლა-გიმნაზია შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდებას, თუ რომელი კატეგორიის ინფორმაცია მუშავდება, რა მიზნით და რა სამართლებრივი საფუძვლით, ასევე, გაცემულია თუ არა მისი მონაცემები მესამე პირზე, და ასეთის არსებობის შემთხვევაში ვისზე გაიცა ეს მონაცემი. ეს ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, რის შესახებაც მონაცემთა სუბიექტს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს.
2. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე გამოიხმოს მის მიერ გაცემული თანხმობა. ამ შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის საფუძველზე, მონაცემთა დამუშავება უნდა შეწყდეს ან/და დამუშავებული მონაცემები წაიშალოს ან განადგურდეს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუ მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი არ არსებობს.
3. მონაცემთა სუბიექტის მიერ თანხმობის გამოხმობა არ იწვევს თანხმობის გამოხმობამდე და თანხმობის ფარგლებში წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

მუხლი 21. მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები
1. სკოლა-გიმნაზია მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სკოლა-გიმნაზიასთან მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებამდე აწვდის ინფორმაციას, როგორი სახის პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს მის შესახებ სკოლა-გიმნაზია.
2. მოსწავლის მშობლები/კანონიერი წარმომადგენელები ვალდებულნი არიან:
ა) დაიცვან წინამდებარე წესი, როდესაც ისინი წარმოადგენენ სკოლა-გიმნაზიას და სკოლა-გიმნაზიის სახელით მონაწილეობენ სხვადასხვა აქტივობაში.
ბ) შეატყობინონ სკოლა-გიმნაზიას თავისი პერსონალური მონაცემების ცვლილების შესახებ.
3. სკოლა-გიმნაზიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის დარღვევა არის დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი.

მუხლი 22. ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავება
1. ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია საქმიანობის განხორციელების, უსაფრთხოების, საკუთრების დაცვისა და საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების მიზნებისთვის და ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია ან დაკავშირებულია არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთან, აგრეთვე კანონით დადგენილი წესით პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის, სახელმწიფო საზღვრის გადამკვეთი პირის იდენტიფიკაციის, უკანონო

მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის, საერთაშორისო დაცვის განხორციელების, დანაშაულის თავიდან აცილების, დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის, არასრულწლოვანთა რეფერირების პროცესის კოორდინაციის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ან კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
2. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად მონაცემთა დამუშავებამდე წერილობით განსაზღვროს ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავების მიზანი და მოცულობა, ამ მონაცემთა შენახვის ვადა, მათი შენახვისა და განადგურების წესი და პირობები, აგრეთვე მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები.

მუხლი 23. მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება
1. სკოლა-გიმნაზიაში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაძლებელია ჰქონდეს: რექტორს, აღმასრულებელ დირექტორს, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეებს, საქმეთა მმართველს, ბუღალტერს, კლასის ხელმძღვანელს, მასწავლებელს და სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო პერსონალს.
2. სკოლა-გიმნაზიის რექტორს, აღმასრულებელ დირექტორს და მოადგილეებს წვდომა აქვთ სკოლა-გიმნაზიაში არსებულ ყველა მონაცემზე, რომელიც მუშავდება.
3. საქმეთა მმართველს წვდომა აქვს მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე, ასევე სკოლა-გიმნაზიის კორესპოდენციის დოკუმენტაციაზე.
3. კლასის ხელმძღვანელს წვდომა აქვთ საკუთარი კლასის მოსწავლეების პირად საქმეებზე, მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალებზე (მატერიალურსა და ელექტრონულზე), ასევე, მათი კლასის მოსწავლეთა მშობლების შესახებ ინფორმაციაზე, რომელიც განთავსებულია პირად საქმეში, კერძოდ, სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, მათ Edupage-ზე დარეგისტრირებული მომხმარებლით წვდომა აქვს მხოლოდ იმ კლასის მოსწავლეების, მათი მშობლების პირად მონაცემებზე, რომლებიც ირიცხებიან მის სადამრიგებლო კლასში, ხოლო ელექტრონულ პლატფორმაზე რეგისტრირებული მომხმარებლით წვდომა აქვთ ელექტრონულ ჟურნალზე სადამრიგებლო კლასის საგნების დასწრებისა და შეფასებების შესახებ ინფორმაციაზე. კლასის ხელმძღვანელებს Eschool-ის ბაზაში რეგისტრირებული მომხმარებლით არ აქვს წვდომა სხვა პირის პირად მონაცემებზე.
4. მასწავლებელს ელექტრონულ პლატფორმაზე რეგისტრირებული მომხმარებლით წვდომა აქვს მხოლოდ იმ კლასის და საგნის მონაცემების შესახებ, რომელსაც ასწავლის. კერძოდ, მისთვის კლასის ხელმძღვანელის მიერ მიწოდებული ელექტრონული ფოსტების საშუალებით შექმნილ კლასში განაწილებულ მოსწავლეებზე (ამ შემთხვევაში, მისთვის ხელმისაწვდომია, მხოლოდ მოსწავლის სახელი, გვარი, ელექტრონული ფოსტა და ფოტო (არსებობის შემთხვევაში), ასევე, გაკვეთილის მიმდინარეობისას ვიზუალურ/აუდიო მონაცემებზე (არსებობის შემთხვევაში);
5. ბუღალტერს წვდომა აქვს თანამშრომელთა, მოსწავლეთა და მათ მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა შესახებ შემდეგ ინფორმაციაზე: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ასაკი, სქესი, მისამართი, პირადი ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია და ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ვადა, განათლების შესახებ ინფორმაცია, დიპლომის ასლი ან განათლების დამადასტურებელი მოწმობა, სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაცია, ტელეფონის ნომერი, მისამართი, საბანკო ანგარიშის ნომერი, დაკავებული პოზიცია (თანამდებობა), ანაზღაურების და შრომითი ურთიერთობის შეჩერების შესახებ ინფორმაცია.

6. სკოლა-გიმნაზიის სამედიცინო პერსონალს წვდომა აქვს თანამშრომელთა და მოსწავლეთა შესახებ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (აცრებზე ინფორმაცია, სავალდებულო კვლევები სხვადასხვა ინფექციასთან დაკავშირებით და ა.შ) ინფორმაციაზე ,ასევე სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ასაკი, სქესი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია და ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ვადა, სკოლა-გიმნაზიაში სასწავლო კლასის ნომერი და დასახელება.
7. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს წვდომა აქვს შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვისას შემდეგ მონაცემებზე: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, შესვლისა და გასვლის თარიღები, დრო და ვიზიტის მიზანი. ვიდეო მონიტორინგის ჩანაწერები, „ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები"-ით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში მის მიერ დამუშავებულ მონაცემზე.

მუხლი 24. ინციდენტი
1. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია აღრიცხოს ინციდენტი, დამდგარი შედეგი, მიღებული ზომები, ინციდენტის აღმოჩენიდან არა უგვიანეს 72 საათისა, მის შესახებ წერილობით ან ელექტრონულად შეატყობინოს წარუდგინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლებსავარაუდოა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.
2. დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია, აღრიცხოს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული, მათ შორის ინციდენტის შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული ვალდებულება ყველა აღმოჩენილ ინციდენტზე ვლინდება, მიუხედავად იმისა, ექვემდებარება თუ არა ინციდენტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის ან/და მონაცემთა სუბიექტისთვის შეტყობინებას.

მუხლი 25. ინციდენტის შეფასება
1. ინციდენტის შედეგად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის სიმძიმე სკოლა-გიმნაზიის ან დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ უნდა შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:
ა. ინციდენტის სახე - ინციდენტი ყოველთვის უკავშირდება პერსონალურ მონაცემებს და ინფორმაციული უსაფრთხოების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად იყოფა შემდეგ სახეებად:
ა.ა. კონფიდენციალურობის დარღვევა;
ა.ბ. მთლიანობის დარღვევა;
ა.გ. ხელმისაწვდომობის დარღვევა.
2. იმ პერსონალური მონაცემების კატეგორია, რომლებზეც ინციდენტი გავლენას ახდენს:
ა) განსაკუთრებული სოციალური თუ ჯანმრთელობის საჭიროების მქონე პირები, როგორც მონაცემთა სუბიექტები;
ბ) მონაცემთა სუბიექტების იდენტიფიცირების შესაძლებლობის ხარისხი;
გ) მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის უფლებებისა და ინტერესების მიმართ დამდგარი შედეგი;
დ) დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირის საქმიანობის განსაკუთრებული ხასიათი;
ე) ინციდენტის მასშტაბი, მონაცემთა სუბიექტის და/ან პერსონალური მონაცემის რაოდენობის და/ან მოცულობის თვალსაზრისით;
ვ) სხვა გარემოებები.

მუხლი 26. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის სიმძიმის განსაზღვრის კრიტერიუმები

1. ინციდენტი, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის სიმძიმის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევად უნდა იქნეს მიჩნეული, მათ შორის, იმ შემთხვევებში, თუ მას მოჰყვა/შესაძლოა მოჰყვეს ერთ-ერთი შემდეგი შედეგი:
ა) მონაცემთა სუბიექტის დისკრიმინაცია (ვინაობის მითვისება ან გაყალბება, ფინანსური ზიანი, მონაცემთა სუბიექტის რეპუტაციის შელახვა, პროფესიული საიდუმლოებით დაცული პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობის დარღვევა, ან სხვა სახის მნიშვნელოვანი სოციალური ან/და ეკონომიკური ზიანი);
ბ) მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებისათვის ხელის შეშლა, მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის უფლებების კანონით დადგენილ ვადებში რეალიზების შეზღუდვა;
გ) პერსონალური მონაცემების იმგვარი წაშლა/განადგურება, რომელიც არ ექვემდებარება აღდგენას, ან მისი აღდგენა არაპროპორციულად დიდ დროსა და ძალისხმევას საჭიროებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პერსონალური მონაცემების (გარდა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემისა) დამუშავების მიზნიდან გამომდინარე, მათი წაშლის/განადგურების შედეგად, მონაცემთა სუბიექტს მნიშვნელოვანი ზიანი არ ადგება;
დ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების უკანონო გამჟღავნება;
ე) ფიზიკური ზიანი, მათ შორის, სამედიცინო მომსახურების მიღების შეზღუდვა, თუ აღნიშნული იწვევს სამედიცინო მანიპულაციის ან ოპერაციის გადადებას, რაც პაციენტის მკურნალობაზე ახდენს უარყოფით გავლენას;
ვ) არასრულწლოვნების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და სხვა განსაკუთრებული სოციალური თუ სამართლებრივი დაცვის საჭიროების მქონე მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავება.
2. ინციდენტით მონაცემთა სუბიექტების უფლებებისადმი გამოწვეული შესაძლო შედეგის სიმძიმის შეფასების შემდეგ საჭიროა სკოლა-გიმნაზიის მიერ ამ შედეგის დადგომის ალბათობის განსაზღვრა.
3. შედეგის დადგომის ალბათობა შეიძლება იყოს დაბალი, საშუალო ან მაღალი.

მუხლი 27. მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეტყობინება

1. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი და მისი სპეციალური წარმომადგენელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვალდებული არიან წერილობით ან ელექტრონულად უზრუნველყონ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაციის აღრიცხვა:
ა) დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, სპეციალური წარმომადგენლის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის, თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ვინაობა/სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია;
ბ) მონაცემთა დამუშავების მიზნების შესახებ;
გ) მონაცემთა სუბიექტებისა და მონაცემთა კატეგორიების შესახებ;
დ) მონაცემთა მიმღების (მათ შორის, სხვა სახელმწიფოში არსებული მონაცემთა მიმღების ან საერთაშორისო ორგანიზაციის) კატეგორიების შესახებ;
ე) სხვა სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის მონაცემთა გადაცემის, აგრეთვე მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების თაობაზე, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ნებართვის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ვ) მონაცემთა შენახვის ვადების შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, მათი შენახვის ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;
ზ) მონაცემთა უსაფრთხოებისთვის მიღებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების ზოგადი აღწერა;
თ) ინციდენტების შესახებ ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. თითოეული დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი და მის მიერ მონაცემთა დამუშავებაში ამ კანონის 36-ე მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი წესით ჩართული პირი ვალდებული არიან წერილობით ან ელექტრონულად უზრუნველყონ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაციის აღრიცხვა:

ა) დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების, სპეციალური წარმომადგენლის ვინაობა/სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია;

ბ) დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ან მისი სახელით განხორციელებული მონაცემთა დამუშავების სახეების შესახებ;

გ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, თუ იგი მონაწილეობს სხვა სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის მონაცემთა გადაცემის პროცესში;

დ) მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიღებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების ზოგადი აღწერა;

ე) ინციდენტების შესახებ ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა, თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა, დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა და სპეციალურმა წარმომადგენელმა ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია შესაბამისი მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, უნდა მიაწოდონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.

4. სამართალდამცავი ორგანოს მიერ მოთხოვნილი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის ან მისი ჩატარების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინების 1 ეგზემპლარი, რომელიც მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს შეიცავს, აგრეთვე სამართალდამცავი ორგანოს მიერ სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად/უკანონოდ ცნობის შესახებ მოსამართლის განჩინების 1 ეგზემპლარი, რომელიც მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს შეიცავს, წარედგინება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

5. ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიამ სამართალდამცავი ორგანოსთვის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით დადგენილი წესით გადაცემის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს უნდა აცნობოს ამ მონაცემების გადაცემიდან 24 საათში.

6. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილებას, რომელიც მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს შეიცავს, ფარული საგამოძიებო მოქმედების ამ დადგენილებაში მითითებული დაწყების დროიდან არაუგვიანეს 12 საათისა პროკურორი ან პროკურორის დავალებით გამომძიებელი მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარუდგენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.

7. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1431 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების ელექტრონულ ეგზემპლარს, რომელიც მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს შეიცავს, აგრეთვე ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილების ელექტრონულ ეგზემპლარს, რომელიც მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს შეიცავს, სააგენტო მისი მიღებისთანავე აწვდის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.__

მუხლი 28. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

1. საჯარო დაწესებულება, სადაზღვევო ორგანიზაცია, კომერციული ბანკი, სკოლა-გიმნაზიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი უზრუნველყოფს:
ა) მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების მიღების ან შეცვლის შესახებ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისა და მათი თანამშრომლების ინფორმირებას, მათთვის კონსულტაციისა და მეთოდური დახმარების გაწევას;
ბ) მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციებისა და მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობას, აგრეთვე დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგს;
გ) მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას;
დ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისგან კონსულტაციების მიღებას, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის წარმომადგენლობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან ურთიერთობაში, მისი მოთხოვნით ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენას და მისი დავალებებისა და რეკომენდაციების შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგს;
ე) მონაცემთა სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;
ვ) დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების სტანდარტების ამაღლების მიზნით სხვა ფუნქციების შესრულებას.

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს უნდა ჰქონდეს სათანადო ცოდნა მონაცემთა დაცვის სფეროში.
3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.
4. სკოლა-გიმნაზიამ და დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა უნდა უზრუნველყონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სათანადო ჩართულობა მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უზრუნველყონ იგი შესაბამისი რესურსებით, აგრეთვე უზრუნველყონ მისი დამოუკიდებლობა საქმიანობის განხორციელებისას.
5. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნიდან, აგრეთვე მისი შეცვლიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მისი ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია აცნობონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, რომელიც აქვეყნებს ამ ინფორმაციას. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია პროაქტიულად გამოაქვეყნონ ვებგვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით.
6. სკოლა-გიმნაზია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დროებითი არყოლისას ან მისი უფლებამოსილების შეწყვეტისას ვალდებულია, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის უფლებამოსილებით აღჭურვოს სხვა პირი.

მუხლი 29. სკოლა-გიმნაზიის მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინფორმირების ვალდებულების გამომრიცხავი გარემოებები
1. ინციდენტის შესახებ მონაცემთა სუბიექტების ინფორმირების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ ეს საფრთხეს შეუქმნის:
ა) საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს;
ბ) დანაშაულის თავიდან აცილებას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას;

გ) მართლმსაჯულების განხორციელებას;
2. მონაცემთა სუბიექტების ინფორმირების ვალდებულება ასევე არ წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ სკოლა-გიმნაზიამ მიიღო შესაბამისი უსაფრთხოების ზომები, რის შედეგადაც თავიდან იქნა აცილებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის მნიშვნელოვანი საფრთხე.

მუხლი 30. პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება
1. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ახალი/ინოვაციური ტექნოლოგიების, მონაცემთა კატეგორიის, მოცულობის, მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და საშუალებების გათვალისწინებით, თუ მაღალი ალბათობით იქმნება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფრთხე (მაგალითად, ფიზიკური პირის რეპუტაციის შელახვა, მატერიალური, მორალური ან/და ფიზიკური ზიანი, დისკრიმინაცია და სხვა) ან კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, სკოლა-გიმნაზია ახდენს მონაცემთა დაცვის ზეგავლენის შეფასებას.
2. რისკების დონის განსაზღვრისას ხდება ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე რისკის ხდომილების გავლენისა და ხდომილების ალბათობის ანალიზი, ხოლო ზეგავლენის შეფასების დოკუმენტში ასახული უნდა იყოს სულ მცირე შემდეგი საკითხები:
ა) მონაცემთა დამუშავების პროცესის დასახელება და აღწერა, მათ შორის სუბიექტებისა და მონაცემთა კატეგორიები, მათი დამუშავების მიზნები, პროპორციულობა და საფუძვლები.
ბ) დამუშავების პროცესში ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის შესაძლო რისკები, მათი შემცირების/აღმოფხვრისა და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით გატარებული ან გათვალისწინებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები.
3. ზეგავლენის შეფასება შეიძლება განხორციელდეს როგორც მონაცემთა დამუშავების ერთ პროცესთან მიმართებით, ასევე რამდენიმე პროცესთან მიმართებით, თუ კი ამ პროცესებს აქვთ საერთო ან მსგავსი მიზნები, ფარგლები ან ჰყავთ საერთო პროცესის მფლობელი.
4. პერსონალური მონაცემების დამუშავების ზეგავლენის შეფასების დოკუმენტი უნდა გადაიხედოს საჭიროებისამებრ, მაგრამ სულ მცირე ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ან პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესის მნიშვნელოვანი ცვლილების დროს და განახლდეს საჭიროების შემთხვევაში.
მუხლი 31. თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებთან ურთიერთობა
თუ სკოლა-გიმნაზია სხვა დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, წინასწარ წერილობით (მათ შორის ურთიერთგაგების ან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით) განსაზღვრავს „ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით თითოეულის ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს, მათ შორის მონაცემთა სუბიექტის უფლებების ეფექტური რეალიზებისთვის.
მუხლი 32. დამუშავებაზე უფლებამოსილ პირთან ურთიერთობა
1. სკოლა-გიმნაზია, მონაცემთა დამუშავების პროცესში რთავს მხოლოდ ისეთ დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს, რომელიც მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და კანონის მოთხოვნების დასაცავად უზრუნველყოფს შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღებას. დაუშვებელია მონაცემთა დამუშავების შესახებ შეთანხმების დადება, თუ, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის საქმიანობიდან ან/და მიზნებიდან გამომდინარე, არსებობს მონაცემთა არამიზნობრივი დამუშავების ან მონაცემთა სუბიექტის უფლებების შელახვის მაღალი საფრთხე.
2. ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, რომელიც სკოლა-გიმნაზიის სახელით ან მისი მიზნებით, როგორც დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი განახორციელებს მონაცემთა დამუშავებას, იდება წერილობითი შეთანხმება (მათ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, ხელშეკრულება ან მისი დანართი), რომელიც ითვალისწინებს დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის შემდეგ ვალდებულებებს:

ა) გაატაროს შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები პერსონალური მონაცემების ხელყოფისგან, გამჟღავნებისა თუ სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან დასაცავად და უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით განთავსებული პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების (მათ შორის, ინციდენტების შესახებ) აღრიცხვა და ინციდენტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სკოლა-გიმნაზიას.

ბ) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მონაცემთა დამუშავების პროცესის შესაბამისობისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, სკოლა-გიმნაზიის მოთხოვნისთანავე მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია, ხელი შეუწყოს მის მიერ მონაცემთა დამუშავების მონიტორინგის განხორციელებას და გაუწიოს საჭირო დახმარება.

გ) არ გადასცეს თავისი უფლება-მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს სკოლა-გიმნაზიის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. სკოლა-გიმნაზიის თანხმობა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შესაბამისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისგან.

დ) დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის ნებისმიერი თანამშრომელის, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს მონაცემებზე წვდომა, ვალდებულებაა არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება და კონფიდენციალურობა, მათ შორის, სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

ე) მხარეებს შორის შეთანხმების გაუქმების ან მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის ვალდებულებას წაშალოს ან გაანადგუროს ან სკოლა-გიმნაზიას სრულად გადასცეს ან დაუბრუნოს პერსონალური ინფორმაციის შემცველი ინფორმაცია.

ვ) მხარეებს შორის მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული დავის წარმოშობის შემთხვევაში, დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის ვალდებულებას დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მონაცემთა დამუშავება და სკოლა-გიმნაზიას სრულად გადასცეს მის ხელთ არსებული მონაცემები.

მუხლი 33. მონაცემთა გაზიარება და გადაცემა

1. პერსონალური მონაცემები შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს (მაგ., შემოსავლების სამსახურს, აუდიტორს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით) ასევე დონორ ან/და პარტნიორ ორგანიზაციებს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას.

2. მონაცემები შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს საქართველოს ფარგლებს გარეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი (მაგალითად, თანხმობა) და შესაბამის სახელმწიფოში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის სათანადო გარანტიები.

მუხლი 34. მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება მონაცემთა უშუალოდ მისგან ან სხვა წყაროებისგან მოპოვების შემთხვევაში

1. მონაცემების უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან შეგროვებისას, სკოლა-გიმნაზია მონაცემთა შეგროვებამდე ან შეგროვების დაწყებისთანავე მონაცემთა სუბიექტს მარტივ და მისთვის გასაგებ ენაზე აწვდის შემდეგ ინფორმაციას:

ა)სკოლა-გიმნაზიის წარმომადგენლის ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობის/სახელწოდების და საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ;

ბ) მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ;

გ) მონაცემთა მიწოდების აუცილებლობის, სავალდებულოობის და მონაცემთა მიწოდებაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგების თაობაზე;

დ) სკოლა-გიმნაზიის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების შესახებ, თუ მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ე) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობისა და საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ;

ვ) მონაცემთა მიმღების ვინაობისა ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ;
ზ) მონაცემთა დაგეგმილი გადაცემისა და მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არსებობის შესახებ, მათ შორის, მონაცემთა გადაცემაზე ნებართვის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ იგეგმება მონაცემთა სხვა სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემა;
თ) მონაცემთა შენახვის ვადის ან ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;
ი) მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება სავალდებულო არ არის, თუ არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ მონაცემთა სუბიექტი უკვე ფლობს ამ ინფორმაციას.
3. თუ მონაცემების შეგროვება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან არ ხდება, სკოლა-გიმნაზია გონივრულ ვადაში ან სუბიექტთან პირველი კომუნიკაციისთანავე აწვდის მას ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“–„ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციას და ასევე აცნობებს მის შესახებ დამუშავებული მონაცემებისა და მათი მოპოვების წყაროების შესახებ, ხოლო თუ დაგეგმილია მონაცემთა გამჟღავნება, სუბიექტს ინფორმაცია მიეწოდება მონაცემთა გამჟღავნებამდე, თუკი არ არსებობს უფლების შეზღუდვის საფუძვლები.
4. სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს მონაცემების მოპოვების შესახებ ზოგადი ინფორმაციის საჯაროდ/ყველასთვის ხელმისაწვდომი ფორმით განთავსებას და ინდივიდუალურად არ ახდენს სუბიექტების ინფორმირებას, თუ:
ა) მონაცემთა სუბიექტი უკვე ფლობს აღნიშნულ ინფორმაციას;
ბ) მონაცემთა შეგროვება ან გამჟღავნება დადგენილია კანონით ან საჭიროა საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად;
გ) ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია ან მოითხოვს არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას ან ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს ან შეუძლებელს გახდის მონაცემთა დამუშავების კანონიერი მიზნების შესრულებას.

მუხლი 35. მონაცემთა დამუშავების პროცესების დაგეგმვა
1. პერსონალურ მონაცემთა კატეგორიისა და მოცულობის, მათი დამუშავების მასშტაბის, კონტექსტის, მიზნების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და დაკავშირებული ხარჯების, მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით, სკოლა-გიმნაზია როგორც მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და საშუალებების დაგეგმვის, ისე უშუალოდ დამუშავების პროცესში იღებს სათანადო ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს (მათ შორის, ფსევდონიმიზაცია, არქივირება, წვდომის შეზღუდვა და სხვა) მონაცემთა დამუშავების პრინციპებისა და სუბიექტის უფლებების ეფექტიანი დაცვისთვის.
2. სკოლა-გიმნაზიის მიერ მიღებული ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები უნდა უზრუნველყოფდნენ მხოლოდ იმ მონაცემების დამუშავებას, რომლებიც აუცილებელია დამუშავების კონკრეტული მიზნისთვის და ფიზიკური პირების განუსაზღვრელი რაოდენობისთვის მონაცემების ავტომატური ხელმისაწვდომობა შეზღუდული უნდა იყოს ადამიანური რესურსის ჩარევის გარეშე.

მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვა

მუხლი 36. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპები
1. სკოლა-გიმნაზიისთვის მნიშვნელოვანია მონაცემთა სუბიექტთა უფლებების პატივისცემა და მათი რეალიზების ხელშეწყობა. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნას სკოლა-გიმნაზია განიხილავს და რეაგირებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებში, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუ საქართველოს კანონმდებლობით და ამ პოლიტიკით სხვა ვადა არის დადგენილი.

2. სუბიექტის უფლებების რეალიზებისთვის დადგენილი 10 დღიანი ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობება მონაცემთა სუბიექტს.
3. მონაცემთა სუბიექტის მიერ მოთხოვნის არაგონივრული სიხშირით წარდგენის შემთხვევაში, სკოლა-გიმნაზია უფლებამოსილია უარი განაცხადოს მის შესრულებაზე, რის შესახებაც დაუყოვნებლივ წერილობით ეცნობება მონაცემთა სუბიექტს და განემარტება გასაჩივრების უფლების შესახებ.

მუხლი 37. მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების, მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლებები

1. მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება სკოლა-გიმნაზიას მოსთხოვოს იმის დადასტურება, მუშავდება თუ არა მის შესახებ მონაცემები, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება და მოთხოვნის შესაბამისად უსასყიდლოდ მიიღოს შემდეგი ინფორმაცია:
ა) მის შესახებ დამუშავებული მონაცემების თაობაზე, აგრეთვე ამ მონაცემის დამუშავების საფუძვლისა და მიზნის შესახებ;
ბ) მონაცემთა შეგროვების/მოპოვების წყაროს შესახებ;
გ) მონაცემთა შენახვის ვადის ან ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;
დ) მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ;
ე) მონაცემთა გადაცემის სამართლებრივი საფუძვლისა და მიზნების, აგრეთვე მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების შესახებ, თუ მონაცემები გადაეცემა სხვა სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას;
ვ) მონაცემთა მიმღების ვინაობის ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის საფუძვლისა და მიზნის თაობაზე, თუ მონაცემები მესამე პირს გადაეცემა;
ზ) ავტომატიზებული დამუშავების, მათ შორის, პროფაილინგის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების და იმ ლოგიკის შესახებ, რომელიც გამოიყენება ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად, აგრეთვე მონაცემთა დამუშავებაზე მისი გავლენისა და დამუშავების მოსალოდნელი/ სავარაუდო შედეგის თაობაზე.
2. მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება გაეცნოს მის შესახებ სკოლა-გიმნაზიაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები იმ ფორმით, რა ფორმითაც ისინი დაცულია სკოლა-გიმნაზიაში.
3. მონაცემთა სუბიექტის მიერ ასლების განსხვავებული ფორმით მიწოდებით მოთხოვნის შემთხვევაში, სკოლა-გიმნაზია აფასებს რამდენად არის ეს ტექნიკურად შესაძლებელია და უფლებამოსილია დააწესოს გონივრული საფასური, ასლების სხვა ფორმით მიწოდებაზე ფაქტობრივად დახარჯული რესურსის ოდენობის გათვალისწინებით.

მუხლი 38. მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, სკოლა-გიმნაზიას მოსთხოვოს მის შესახებ მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება.
2. თუ სკოლა-გიმნაზია მონაცემთა სუბიექტისგან დამოუკიდებლად გამოავლენს, რომ მის ხელთ არსებული მონაცემები მცდარი, არაზუსტი ან/და არასრულია, გონივრულ ვადაში უნდა გაასწოროს, განაახლოს ან/და შეავსოს მონაცემები და ამის შესახებ აცნობოს მონაცემთა სუბიექტს, თუ მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება მხოლოდ ტექნიკური შეცდომის გასწორებას/აღმოფხვრას არ უკავშირდება.
3. თუ არსებობს ობიექტური გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის 10 სამუშაო დღის ვადაში მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულების შესრულებას, სკოლა-გიმნაზია ცვლილების განხორციელების შესახებ ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტს აწვდის მასთან პირველი კომუნიკაციის განხორციელებისთანავე.

4. მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსების შემთხვევაში, სკოლა-გიმნაზია ყველა მონაცემთა მიმღებსა და მონაცემთა ყველა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს, რომლებსაც თავად გადასცა მონაცემები, ატყობინებს მონაცემთა განახლებისა და შევსების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების ან მონაცემთა მიმღებების სიმრავლის ან/და არაპროპორციულად დიდი დანახარჯების გამო.

მუხლი 39. მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, სკოლა-გიმნაზიას მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა დამუშავების (მათ შორის, პროფაილინგის) შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება.

2. სკოლა-გიმნაზიას უფლება აქვს, უარი თქვას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ:

ა) არსებობს მონაცემთა დამუშავების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 ან მე-6 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი;

ბ) მონაცემები მუშავდება სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთების მიზნით;

გ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია გამოხატვის ან ინფორმაციის თავისუფლების უფლების განსახორციელებლად;

დ) მონაცემები მუშავდება კანონით გათვალისწინებული საჯარო ინტერესებისთვის არქივირების მიზნით, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისთვის და მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლების განხორციელება შეუძლებელს გახდის ან მნიშვნელოვნად დააზიანებს დამუშავების მიზნების მიღწევას.

3. მის შესახებ მონაცემთა საჯაროდ ხელმისაწვდომი ფორმით დამუშავების შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს სკოლა-გიმნაზიას დამატებით მოსთხოვოს მონაცემთა ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ან/და მონაცემთა ასლების ან მონაცემებთან დამაკავშირებელი ნებისმიერი ინტერნეტბმულის წაშლა.

4. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით მისი მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების შემთხვევაში, სკოლა-გიმნაზია ყველა მონაცემთა მიმღებსა და მონაცემთა ყველა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს, რომლებსაც თავად გადასცა მონაცემები, ატყობინებს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების ან მონაცემთა მიმღებების სიმრავლის ან/და არაპროპორციულად დიდი დანახარჯების გამო.

მუხლი 40. მონაცემთა დაბლოკვის უფლება

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, სკოლა-გიმნაზიას მოსთხოვოს მონაცემთა დაბლოკვა, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება:

ა) მონაცემთა სუბიექტი სადავოს ხდის მონაცემების ნამდვილობას ან სიზუსტეს;

ბ) მონაცემთა დამუშავება უკანონოა, თუმცა მონაცემთა სუბიექტი ეწინააღმდეგება მათ წაშლას და ითხოვს მონაცემთა დაბლოკვას;

გ) მონაცემები საჭირო აღარ არის მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად, თუმცა მონაცემთა სუბიექტს ისინი სჭირდება საჩივრის/სარჩელის წარსადგენად;

დ) მონაცემთა სუბიექტი მოითხოვს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას, წაშლას ან განადგურებას და მიმდინარეობს ამ მოთხოვნის განხილვა;

ე) არსებობს მონაცემების მტკიცებულებად გამოყენების მიზნით შენახვის აუცილებლობა.

2. მონაცემთა დაბლოკვის თაობაზე სუბიექტს ეცნობება მიღებული გადაწყვეტილების ან მონაცემთა დაბლოკვაზე უარის თქმის საფუძვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღისა.
3. მონაცემთა სუბიექტს შესაძლოა სათანადო დასაბუთებით უარი ეთქვას მონაცემთა დაბლოკვაზე, ან დაბლოკილი მონაცემები განიბლოკოს, თუ მონაცემთა დაბლოკვამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას:
ა) სკოლა-გიმნაზიის მიერ კანონით ან/და კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას;
ბ) კანონის შესაბამისად საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესრულებას;
გ) სკოლა-გიმნაზიას ან მესამე პირის ლეგიტიმურ ინტერესებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის, განსაკუთრებით არასრულწლოვანის, უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;
დ) მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესების, აგრეთვე სახელმწიფო უსაფრთხოებისა და თავდაცვის ინტერესების დაცვას.
4. მონაცემები იბლოკება მათი დაბლოკვის მიზეზის არსებობის ვადით და, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია, მონაცემთა დაბლოკვის შესახებ გადაწყვეტილება თან ერთვის შესაბამის მონაცემებს. დაბლოკვის პერიოდში, გარდა მათი შენახვისა, მონაცემები შესაძლოა სხვაგვარად დამუშავდეს მხოლოდ:
ა) მონაცემთა სუბიექტის თანხმობით;
ბ) სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასასაბუთებლად;
გ) სკოლა-გიმნაზიას ან მესამე პირის ინტერესების დასაცავად;
დ) კანონის შესაბამისად, საჯარო ინტერესის დასაცავად.

მუხლი 41. მონაცემთა გადატანის უფლება
მონაცემთა სუბიექტის თანხმობით ან მასთან დადებული გარიგების საფუძველზე მონაცემთა ავტომატური დამუშავების შემთხვევაში, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, სკოლა-გიმნაზიისგან სტრუქტურიზებული, საზოგადოდ გამოყენებადი და მანქანურად წაკითხვადი ფორმატით მიიღოს მის მიერ მიწოდებული მონაცემები ან მოითხოვოს ამ მონაცემთა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემა.

მუხლი 42. ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება და მასთან დაკავშირებული უფლებები
1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, არ დაექვემდებაროს მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე, მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც მისთვის წარმოშობს სამართლებრივ ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროფაილინგის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება:
ა) ეფუძნება მონაცემთა სუბიექტის აშკარად გამოხატულ თანხმობას;
ბ) აუცილებელია მონაცემთა სუბიექტსა და სკოლა-გიმნაზიას შორის ხელშეკრულების დასადებად ან ხელშეკრულების შესასრულებლად;
გ) გათვალისწინებულია კანონით ან კანონის საფუძველზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.
2. ავტომატიზირებული გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში, სკოლა-გიმნაზია იღებს სათანადო ზომებს მონაცემთა სუბიექტის უფლებების, თავისუფლებისა და ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, მათ შორის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადამიანური რესურსის ჩართვის, მონაცემთა სუბიექტისთვის მისი მოსაზრების გამოთქმის და გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობის მიცემის გზით.

მუხლი 43. თანხმობის გამოხმობის უფლება

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს და იმავე ფორმით, რა ფორმითაც განაცხადა თანხმობა, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე გამოიხმოს მის მიერ გაცემული თანხმობა
2. თანხმობის გამოხმობის შემთხვევაში, სკოლა-გიმნაზია შეწყვეტს სუბიექტის მონაცემების დამუშავებას ან/და წაშლის ან გაანადგურებს დამუშავებულ მონაცემებს, თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი.
3. სკოლა-გიმნაზია მონაცემთა სუბიექტს განუმარტავს თანხმობის გამოხმობის შესაძლო შედეგებს.

მუხლი 44. მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვა

1, მონაცემთა სუბიექტის უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით, ამით არ ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ეს არის აუცილებელი და პროპორციული ზომა დემოკრატიულ საზოგადოებაში და ამ უფლებების განხორციელებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას კანონით განსაზღვრულ მნიშვნელოვან ინტერესებს, მონაცემთა სუბიექტის ან/და სხვა პირების უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლებას, პროფესიული და კანონით გათვალისწინებული სხვა სახის საიდუმლოებების დაცვას ან სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთებას.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ზომას სკოლა-გიმნაზია იყენებს მხოლოდ შეზღუდვის მიზნის ადეკვატური და პროპორციული მოცულობითა და ფორმით და უფლების შეზღუდვასა და განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას აცნობებს მონაცემთა სუბიექტს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ინფორმაციის მიწოდება საფრთხეს შეუქმნის კანონით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

მუხლი 45. გასაჩივრების უფლება

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მისი უფლებების ან პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობითა და ამ პოლიტიკით დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სკოლა-გიმნაზიას აღმასრულებელ დირექტორს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან სასამართლოს.

მუხლი 46. დასკვნითი დებულებები

1. დაევალოს შესაბამის პირებს, განახორციელონ სათანადო ცვლილებები ხელშეკრულებებში, რათა დაცული იყოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნები.
2. სკოლა-გიმნაზიისათვის მოსწავლეების, მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის, მასწავლებლებისა და სხვა დასაქმებული პირების პერსონალურ მონაცემთა დაცვა სავალდებულოა.
3. ინციდენტის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეტყობინების ვალდებულების, ისევე, როგორც ინციდენტის შესახებ მონაცემთა სუბიექტისთვის შეტყობინების ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.
4. ეს პოლიტიკა უნდა გადაიხედოს საჭიროებისამებრ, მაგრამ სულ მცირე ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ან პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ცვლილების დროს.
5. წინამდებარე წესის გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხდება მიღებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.
6. წინამდებარე წესი ძალაშია დამტკიცებისთანავე.